ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 3765

"25" აგვისტო 2015 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, მე-12 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის N11-22 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" და ,,ე" ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-7 მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 24 აგვისტოს N 10-2/1454 წერილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში მოხელის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად გამოცხადდეს კონკურსი 2015 წლის 27 აგვისტოდან ელექტრონულ მისამართზე: hr.gov.ge და განცხადების წარსადგენად განისაზღვროს 10 დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან.

2. შეთანხმებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 24 აგვისტოს N19 სხდომის ოქმით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში ჩასატარებელი კონკურსის ფორმები, ეტაპები, პირობები, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, ჩატარების

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

გრაფიკი, კონკურსის პროგრამა, აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრული ოდენობა და საკონკურსო-საატესაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა, დანართის შესაბამისად.

3. კონკურსის პროგრამა განისაზღვროს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებითა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N15-28 დადგენილებით.

4. ინფორმაცია კონკურსის მე-2 და მე-3 ეტაპების - ტესტირებისა და გასაუბრების გამართვის დროისა და ადგილის თაობაზე თითოეულ კანდიდატს ეცნობება ინდივიდუალურად, ელექტრონული ფოსტის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით.

5.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) დიმიტრი ქუმსიშვილიმა.

6. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია